ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ო ქ მ ი №01-06/11

დაბა ქედა, **16 აგვისტო, 2023 წელი.**

სხდომა დაიწყო: 15:05 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 15:35 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 12.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რეზო თურმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ვაჟა აბულაძე - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
დავით სირაბიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
მარინა ბარამიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე (იმყოფება შვებულებაში);
არჩილ გორგილაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლევან ბერიძე - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე (იმყოფება შვებულებაში);
მამუკა გოგოლიშვილი - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯიმშერ სამნიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ირაკლი მახარაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
ჰამიდა ზოიძე - საკრებულოს აპარატი უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ნონა ბერიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ლაშა ბერიძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/11 რიგგარეშე სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

16 აგვისტო, 2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ციწცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 16 აგვისტოს №01-06/11 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1.„ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ საკრებულოს წევრებს აცნობა, რომ შემოსული იყო საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს წინადადება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე - „ქედის მუნიციპალიტეტში კულტურის ცენტრთან არსებულ სალოტბარო სკოლაში რეგენტი მგალობლის და ინსტრუმენტების შემსწავლელი პედაგოგის მიმართულებების დამატების შესახებ“ - სადაც მოთხოვნილი იყო საკითხი საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანილიყო, ამიტომ სხდომის თავმჯდომარემ საკითხის დამატების მიზნით №11 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის განახლებული პროექტი წარმოადგინა შემდეგი სახით:

1.„ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

1. **„ქედის მუნიციპალიტეტში კულტურის ცენტრთან არსებულ სალოტბარო სკოლაში რეგენტი მგალობლის და ინსტრუმენტების შემსწავლელი პედაგოგის მიმართულებების დამატების თაობაზე წინადადების მოწონების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს წევრი: შორენა კარანაძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :
დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 16 აგვისტოს №01-06/11 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

1.მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95232211-95, 09.08.2023 წელი.) და წარმოადგინა განახლებული ცვლილებათა რეესტრი შემდეგი სახით:

		ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ცვლილების რეესტრი		
№	პროგრამული კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	თანხა -/+	შენიშვნა
1	1.3.3.2.	კაპიტალური ტრანსფერი	1 200 000	ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო წერილი N01-01-7/4106 28.07.2023 წ.
2	02 04 02	პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	29 477	2400 ლარი 5%-ის დაზუსტება, 27077 ეკონომია(არაფინანსური)
3	02 03 01 03	სოციალური სახლის მშენებლობა (მათ შორის: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა)	300 000	საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის თაობაზე ჩატარებული ტენდერი შემდგომში კონკურსი არ შედგა, რის გამოც საჭიროა დამაქტებითი დრო პროექტის მოსამზადებლად. გამომდინარე აქედან პროექტის მიღების შემდგომ დარჩენილ დროში მიმდინარე წლის ბოლომდე შეუძლებელი გახდება მშენებლობის დაწყება და სამუშაოების დაფინანსება, ამიტომ 2023 წლის ბოლომდე

				საჭირო იქნება მხოლოდ პროექტის შესყიდვის ღირებულების დაფინანსება. (არაფინანსური)
4	02 03 01 02	დაბა ქედაში მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა	2 700	სამუშაოებიდან მიღებული ეკონომია (არაფინანსური)
5	1.4.1.1.2.4	დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	20 500	ჭარბი შემოსავალი
6	1.4.3	სანქციები, ჯარიმები და საურავები	25 700	ჭარბი შემოსავალი
7	1.4.4	ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	10 000	ჭარბი შემოსავალი
8	01 02 03	მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში	43 000	მიღებული ეკონომია (სხვა ხარჯი)
9	02 03 03 03	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებისა და მასში შემავალი სოფლების ცენტრების კეთილმოწყობა და ინფრასტრუქტურის მოწყობა	65 000	სამუშაოებიდან მიღებული ეკონომია (არაფინანსური)
10	06 02 02	ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიატუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება	15 000	მიღებული ეკონომია (სხვა ხარჯი)
ჯამი			1 711 377	
№	პროგრამული კოდი	ასიგნებების დასახელება	თანხა +/-	შენიშვნა

1	01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	11 912	სოფელ გულების ტერიტორიის გეოლოგიური შემოწმების მომსახურების შესყიდვა (საქონელი და მომსახურება)
2	02 01 03	ავტობუსის შესყიდვა (ერთი ერთეული)	2 400	2400 ლარი 5%-ის გასწორება (არაფინანსური)
3	03 01 01	შპს ქედის კომუნალურსერვისი	0	30000 ლარი მუხლებს შორის თანხის გადატანა: სხვა ხარჯიდან სუბსიდიაში
4	05 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის სასპორტო სკოლა	65 000	მუხლებს შორის თანხის გადატანა: საქონელი და მომსახურებიდან სხვა ხარჯში 16500 ლარი, ხოლო 65000 ლარი დამატება მათ შორის: შრომის ანაზღაურება 3900ლარი, საქონელი და მომსახურება 59900 ლარი და სხვა ხარჯი 1200 ლარი.
5	05 02 01	ა.ა.ი.პ. ქედის კულტურის ცენტრი	17 830	აკორდეონის შეძენა 15500 ლარი (არაფინანსური), დეკრეტული 2330 ლარი (სოციალური)
6	04 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება	0	მუხლებს შორის თანხის გადატანა: შრომის ანაზღაურებიდან სოციალურში 5 250 ლარი
7	05 02 03	ა.ა.ი.პ. ქედის ისტორიული მუზეუმი	3 300	მუხლებს შორის თანხის გადატანა: არაფინანსური აქტივებიდან საქონელი და მომსახურება 1040 ლარი, 3300 ლ. ტრანსპორტის მიმდინარე ხარჯი
8	05 02 04	კულტურული ღონისძიება	41 435	6150 ლარი ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე, 6685 ლარი მასწავლებელთა დღე,

				3600 ლარი 5% გადატანის შევსება, 25000 ლარი სახალხო ზეიმი ქედაში (საქონელი და მომსახურება)
9	05 02 05 01	ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა	4 500	,,I see you- აღმოაჩინე საქართველო მარტვილის მუნიციპალიტეტი" პროექტის მიზანია მრავალფეროვანი და უნივერსალური ახალგაზრდული აქტივობებით, უამრავი ახალი თაობის ლიდერების აღმოჩენა და მათში ისეთი სოციალური უნარების განვითარება რაც მათ შემდგომ ცხოვრებისეულ სარბიელზე წარმატების მისაღწევად გამოცდილებას შესძენთ. ასევე ღონისძიების ფარგლებში სხვადასხვა თანმდევი აქტივობების განხორციელება. (საქონელი და მომსახურება)
10	05 01 03 01	საფეხბურთო კლუბი ბეთლემი	18 500	6 000 შტატგარეშე, 10 500 შტატით და 2000 ლარი სხვადასხვა კომუნალური ხარჯი
11	02 01 01	შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია	324 000	შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და გამაგრებისათვის, კერძოდ ხიდბოძების სანიაღვრე არხების და სამაგრი კედლების მოსაწყობად სოფელ ჩეტკიძეებში, დაბა ქედასა და სხვა დასახლებულ პუნქტებში საჭიროა 324 000 ლარის

				დამატება (არაფინანსური)
12	02 04 02	პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	117 000	2024 წელს ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში ინფრასტრუქტურული პროექტების პრიორიტეტული მიმართულების განსაზღვრის და ხარჯების გათვალისწინების მიზნით საჭიროა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით 117000 ლრი. (არაფინანსური)
13	02 01 08	სპეცტექნიკის შეძენა (ტრაქტორი JSB)	250 000	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გააქტიურებული მეწყერების და რთული ზამთრის პირობებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია დამატებით მძიმე ტექნიკის შეძენა ექსტრემალური სიტუაციის მართვისათვის.
14	05 01 04 03	ზუნდაგის მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია	125 000	სოფელ ზუნდაგაში არსებული მინი სპორტული მოედანი მოითხოვს სარეაბილატაციო სამუშაოების ჩატარებას. დაზიანებულია ლითონის ღობეები, სათამაშო მოედანი და დასაგებია გრუნტიან ნიადაგზე ხელოვნური საფარი. (არაფინანსური)

15	02 03 01 08	ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმის რეაბილიტაცია	100 000	ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმის გარე ტერიტორიის სასაფლაოს შემოგარენის მოსაწყობას ღია სივრცეში დარჩენილი შენობის კონსტრუქციის გადახურვის მიზნით საჭიროა 100000 ლარი. (არაფინანსური)
16	05 02 06 01	ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოში არსებული კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის რემონტი	398 000	სოფელ დანდალოში კულტურის სახლის და ადმინისტრაციული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობდა 2022 წელში. კომპანიამ შ.პ.ს. მშენებელი 2020-მა ვერ შეასრულა სახელშეკრულებო ვალდებულება და შეუწყდა ხელშეკრულება. დარჩენილი სამუშაოების დასრულებისათვის საჭიროა 398000 ლარი. (არაფინანსური)
17	02 09	მთების ელექტროფიკაცია	186 000	მუნიციპალიტეტში არსებულ მთის საძოვრებზე, სადავ ზაფხულობით პირუტყვის გამოსაკვებად ფერმერებს გააჩნიათ დროებითი სადგომები, დღემდე არ აქვთ ელექტრომომარაგება, ასევე ტერიტორიული თვალსაზრისით მთის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის საჭიროა მთების ელექტროფიკაცია. პროექტოს შესაძენად გათვალისწინებულია

				186000 ლარი. (არაფინანსური)
18	06 02 15	ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი სერვისების თანადაფინანსება	30 947	
19	01 01 01	ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო	15 553	15 553(საქონელი და მომსახურება) მათ შორის: (12 553 ლარი საკანონმდებლო მაცნეში დადგენილებებისა და განკარგულებების გამოქვეყნების ხარჯი, 3000 ლარი მივლინების ხარჯი)
ასიგნებების ჯამი			1 711 377	X
ს ხ ვ ა ო ბ ა			0	X

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, სოფელ გულების ტერიტორიის გეოლოგიური შესწავლის მომსახურეობის შესყიდვა ჩატარდა და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით ამჟამად რა ხდებოდა?

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ჯემალ ტაკიძემ კითხვასთან დაკავშირებით უპასუხა, რომ აღნიშნული ტიპის მომსახურეობის შესყიდვის დროს მერიას უფლება აქვს ერთი პროგრამული კოდიდან მეორეში თანხის გადატანისა. რადგან რომ არ მოხდეს ყველა ფორსმაჟორულ სიტუაციაში ბიუჯეტის ცვლილების საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად შემოტანა, საკრებულოს მიერ მერიას უფლება აქვს მინიჭებული 5%-იანი თანხის გადატანისა, ისე რომ საკრებულოსთან წინასწარ არ ათანხმებდეს, თუმცა მერიას აქვს ვალდებულება, რომ ეს ფაქტი აცნობოს საკრებულოს და აისახოს შემდეგ ბიუჯეტში. რაც შეეხება, აღნიშნულ მომსახურებას, ეს მომსახურება მერიამ შეისყიდა და თანხაც გასწორებული იყო ამ ეტაპზე, თუმცა ბიუჯეტში ახლა მოხდა ასახვა.

დავით სირაბიძემ აქვე იკითხა პროცედურულად სპეცტექნიკის (ტრაქტორი JSB) შეძენის, ზუნდაგის მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაციისა და ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმის რეაბილიტაციის თაობაზე რა ხდებოდა და აინტერესებდა პროცედურულად ახლა რა უნდა მომხდარიყო, ჯერ საკრებულოს თანხმობა უნდა მიეღო მერიას რომ დაეწყო ტენდერი თუ დაწყებული იყო და დამტკიცება ხდებოდა ახლა?

მომხსენებელმა ამასთან დაკავშირებით დავით სირაბიძეს უპასუხა, რომ ტენდერი ჩატარებულია, თუმცა ხელშეკრულება ჯერ არ არის დადებული. აქვე ჯემალ ტაკიძემ განმარტა, საქართველოს კანონი ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" პირდაპირ ამბობდა, რომ მერიას შეუძლია ბიუჯეტში არ დამტკიცებულ ღონისძიებაზე გამოაცხადოს ტენდერი და მიიყვანოს ხელშეკრულების მომზადების პროცესამდე, თუ მანამდე მას რესურსი არ ექნება შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ტენდერი. მაგალითისათვის კი მოიყვანა, როცა 15 ნოემბერს ბიუჯეტი დასამტკიცებლად შემოდის საკრებულოში, ბიუჯეტი სამართლებრივად გარკვეულ პროცესებს გადის, მას შენიშვნებით აბრუნებს საკრებულო, შემდეგ შესწორებული ბიუჯეტი იგზავნება საკრებულოში და საბოლოოდ მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი 28 დეკემბერს მტკიცდება, ამ დროს კი ქედის მუნიციპალიტეტის მერიას ყველა მიმართულებით ტენდერი აქვს გამოცხადებული და ელოდება საკრებულოს, თუ საკრებულო დაამტკიცებს ბიუჯეტს მერია დადებს ხელშეკრულებებს. თუ არ დამტკიცდება ბიუჯეტი შესყიდვების განყოფილება შეწყვიტავს ტენდერს. ეს პროცედურა შესყიდვებში დაშვებულია იმისთვის, რომ ქმედება მეტად ოპერატიული იყოს, არ დაიკარგოს დრო და შეეწყოს ხელი პროექტების დროულ განხორციელებას.

დავით სირაბიძემ კითხვა დასვა, მონაწილეობით ბიუჯეტში 2021-2022 წლებში ბევრი პროექტი განუხორციელებელი იყო. მისი თქმით, არის პროექტები რომლებზეც ტენდერები არ იყო გამოცხადებული. მაგალითად, სოფლის სახლის რეაბილიტაცია ნამონასტრევში, სიხალიძეებში, ჯალაბაშვილებში სკვერის მოწყობა და ა.შ.

ჯემალ ტაკიძემ ამასთან დაკავშირებით უპასუხა, რომ ყველა ეს პროექტი პროცედურულად სხვადასხვა ეტაპზე იყო, დანამდვილებით დეტალურ პასუხს ყველაზე ახლა ვერ გასცემდა, თუმცა უფრო ზუსტი ინფორმაცია შემდგომ შეეძლო მიეწოდებინა თუ გადასცემდა პროექტების ჩამონათვალს, რაზეც აინტერესებდა დავით სირაბიძეს პასუხი. სოფლის სახლის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით კი მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს ობიექტები განათლების სამინისტროს საკუთრებაში იყო და შეთანხმებას ელოდებოდნენ.

საკრებულოს წევრმა შორენა კარანაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, ცვლილებათა რეესტრში აკორდეონის შეძენაზე განსაზღვრული თანხა კულტურის ცენტრის თუ მერიის მიერ იყო დათვლილი? მისი თქმით 15500 ლარი აზიური აკორდეონის შეძენისათვის ძალიან ცოტა იყო, რადგან ის გაცილებით მეტი ღირდა, ამიტომ დაინტერესდა ახალი აკორდეონის თუ მეორადის შეძენა ხდებოდა ამ თანხით? აქვე შორენა კარანაძე იმასაც აღნიშნავდა, რომ აზიური აკორდეონი კულტურის ცენტრს ჰქონდა, საკმაოდ გამართულ და მუშა მდგომარეობაში, თუ ამჟამად ის აკორდეონი გაფუჭებული იყო, ამ თანხით მეორადი აკორდეონის შეძენას, იმის შეკეთება რომ მომხდარიყო რატომ არ შეიძლებოდა? თუმცა შორენა კარანაძე აქვე იმასაც აღნიშნავდა, რომ თუ საშუალება იყო ახალი აზიური აკორდეონის შეძენისა ძალიან კარგი და მისასალმებელი იყო ეს.

მომხსენებელმა კითხვასთან დაკავშირებით უპასუხა, რომ ამ თანხის თაობაზე კულტურის ცენტრს ჰქონდა მოთხოვნა, შესაბამისი ინვოისიც აქვთ, რომ ახერხებენ ამ თანხით აღნიშნული აკორდეონის შეძენას, ხოლო სხვა დეტალურ ინფორმაციას მომხსენებელი არ ფლობდა.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 2 (შორენა კარანაძე, დავით სირაბიძე.)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება №7, 16.08.2023 წელი).

2.მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტში კულტურის ცენტრთან არსებულ სალოტბარო სკოლაში რეგენტი მგალობლის და ინსტრუმენტების შემსწავლელი პედაგოგის მიმართულებების დამატების თაობაზე წინადადების მოწონების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა საკრებულოს ფრაქცია ,, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს წევრმა შორენა კარანაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტში კულტურის ცენტრთან არსებულ სალოტბარო სკოლაში რეგენტი მგალობლის და ინსტრუმენტების შემსწავლელი პედაგოგის მიმართულებების დამატების თაობაზე წინადადების მოწონების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №95-95232281, 16.08.2023 წელი.) და ისაუბრა სამართლებრივი აქტის მიღების მიზანსა და არსზე, როგორც ყველასთვის ცნობილია ქედის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა და მდიდარია ძველი ქართული ტრადიციული, ხალხური, რიტუალური თუ საფერხულო წეს-ჩვეულებებით. ეს უნიკალური მასალა გაბნეულია როგორც ზეპირსიტყვიერ, ისე ძველ ქართულ სიმღერებსა და ცეკვებში. ამ დროისთვის ქედის მუნიციპალიტეტში კულტურის ცენტრთან არსებულ სალოტბარო სკოლის უმთავრესი ამოცანა არის ზემოთ აღნიშნული მასალების მოძიება, შესწავლა და დაცვა. იმისთვის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანები სრულყოფილად იქნას მიღწეული, სწორედ ამისთვის არის საჭირო უკვე არსებულ სალოტბარო სკოლაში 2 კონკრეტული მიმართულების დამატება - რეგენტი მგალობლის და ინსტრუმენტების შემსწავლელი პედაგოგის. ინდივიდუალური აქტის პროექტის მიღების მიზანია ძველი ქართული ხალხური, ტრადიციული, რიტუალური, საფერხულო წესჩვეულებების მოძიება, დაცვა და შემდგომ წარდგენა როგორც მუნიციპალურ, აგრეთვე რეგიონალურ და საერთაშორისო ფესტივალებზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შემდეგი - არ დაიკარგება, მოიძიება და დაცული იქნება გადაშენების პირას არსებული ძველი ქართული ხალხური საკრავები. აგრეთვე, მოხდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეების წესების და ტრადიციების საფუძვლიანი შესწავლა და შემდგომ გაცვლა-გაზიარება. აღსანიშნავია, ისიც, რომ აღნიშნული მიმართულებების დამატება გამოიწვევს როგორც მოქალაქეების დასაქმებას, აგრეთვე უნიკალური მასალების საფუძვლიან შესწავლას, დაცვას და პოპულარიზაციას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №g-95.95232281, 16.08.2023 წელი).

შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 15:35 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსის
მოადგილეობის შემსრულებელი: **ნონა ბერიძე**